ერთი ქულა “ჩერნომორეცთან”

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 13 ივლისი.

“ჩერნომორეცი” (ოდესა) – “დინამო” (თბილისი) 2:2 (0:0).

“ჩერნომორეცი”: დეგტიარევი (ნეფედოვი), დოროშენკო, ლეშჩუკი, ლოგვინენკო (ტომაშევსკი), გრიგორიევი, ფეიდმანი, საპოჟნიკოვი, როდიონოვი, მაკაროვი, კულიჩენკოვი, ივანენკო.

“დინამო”: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, კანთელაძე, გავაშელი, მჭედლიშვილი (გ. მაჩაიძე), მ. მაჩაიძე, ასათიანი, წერეთელი, ქანთარია, ლ. ნოდია.

მსაჯი: კ. ანძიულისი (კაუნასი).

დუბლიორები – 5:3 “ჩერნომორეცის” სასარგებლოდ.

ოდესელ და თბილისელ ფეხბურთელთა “ნაცნობობა” წლეულს უკვე შედგა თასის მერვედფინალურ ეტაპზე, როცა დინამოელებმა 2 მატჩში საკმაოდ იოლად სძლიეს “ჩერნომორეცს” და ამდენად მეტოქეებმა მეტნაკლებად იცოდნენ ერთმანეთის სუსტი თუ ძლიერი მხარეები. ტრადიციულ დაზვერვაზე დრო არ დახარჯულა, თამაში თავიდანვე დაიწყო მაღალ ტემპში, დაძაბულად. მასპინძლებმა რამდენიმე შეტევა განავითარეს და “დინამოს” მეკარე გაგოშიძეს დასაწყისშივე მოუხდა ძნელი ბურთების აღება. შემდეგ, მე–11 წუთზე, მ. მაჩაიძის გარღვევისას, ოდესელები იღბლად გადაურჩნენ გოლს, მე–14 და მე–20 წუთებზე კი გაგოშიძე კვლავ აღმოჩნდა სახიფათო სიტუაციაში და ორივეჯერ გაბედულად ითამაშა.

პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა, თუმცა ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა საკმაოდ ჰქონდა ორივე მხარეს, კერძოდ, ჯერ წერეთელი, შემდეგ მ. მაჩაიძე ერთი–ერთზე დარჩნენ მეკარე დეგტიარევთან, საგოლე მომენტი ჰქონდა ლეშჩუკსაც.

პირველ წარმატებას ოდესელებმა მიაღწიეს და თითქმის მაშინვე, როგორც კი თამაში განახლდა შესვენების შემდეგ. როდიონოვმა კარგად ისარგებლა “დინამოს” კართან შექმნილი არეულობით, მიიღო ბურთი და ზუსტად დაარტყა იგი მიზანში – 1:0. ამ პერიოდში მასპინძლებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ, დინამოელთა მცველებს და ნახევარმცველებს სრული დატვირთვით მოუხდათ ბრძოლა მდგომარეობის სახსნელად, მერე კი თამაშმა თანდათან კვლავ მინდვრის შუაგულში გადაინაცვლა. 64–ე წუთზე დინამოელებმა გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, რომლის დასასრულს კარგ პოზიციაში აღმოჩნდა ქანთარია – 1:1.

გატანილი გოლის შემდეგ თბილისელები ხანგრძლივ იერიშებზე გადავიდნენ, მასპინძელთა კარი ზედიზედ აღმოჩნდა რეალური საშიშროების წინაშე. ქანთარიას, მ. მაჩაიძეს, ნოდიას შესაძლებლობა მიეცათ წინ გაეყვანათ თავიანთი გუნდი, მაგრამ ბურთი ორჯერ მიზანს აცდა, ერთხელ კი ზუსტად ითამაშა მეკარემ და მაშინ, როცა დინამოელებს თითქოს არაფერი ემუქრებოდათ, 76–ე წუთზე, საპოჟნიკოვმა მოულოდნელად დაარტყა, ბურთი მოხვდა ერთ–ერთ მცველს და ჩაიჭრა კარში – 2:2.

თბილისელთათვის დადგა მწვავე ცაიტნოტი, გუნდი საბოლოო, გადამწყვეტ შტურმზე გადავიდა. “ჩერნომორეცის” კარი განუწყვეტელი იერიშების ობიექტად იქცა – ასათიანს, ქანთარიას, კვლავ ასათიანს ზედიზედ მიეცათ ანგარიშის გათანაბრების საშუალება და უკვე მაშინ, როცა თამაშის დამთავრებას სულ რამდენიმე წუთი აკლდა, ასათიანმა მაინც მიაღწია საწადელს და მისი ზუსტი დარტყმის შემდეგ თბილისელებმა იხსნეს ქულა – 2:2.

ი. რომანოვსკი. (ტელეფონით, ჩვენი კორ.).

“ლელო”, 16 ივლისი, 1974 წ.